პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი

№ 77 კვირა 5 დეკემბერი 1926 წ. № 77

„ინგლის მემაღაროეთა გაფიცვა მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადების წყალობით დამარცხდა".



ბოლდუინი (მემაღაროელ მუშას ნიშნის მოგებით): მაშ რა გეგონათ! ჩვენთან თქვენ რას გახდებით, როცა მაკდონალდი ჩვენი მარჯვენა ხელია.

# მარკოზის სიყვარული

მარკოზს გაგიჟებით, თავდავიწყებამდე უყვარდა...

თქვენ გგონიათ, რომ მარკოზს უყვარდა თვალჟუჟუნა გოგონა? არა?!! თქვენც არ მომიკვდეთ!

მარკოზს უყვარდა რ-რ-რეზოლიუციები...

გაგიჟებით უყვარდა რეზოლიუციების შედგენა და კითხვა.

თქვენ შეგიძლიათ ეხლაც მიხვიდეთ მასთან და დარწმუნდებით, რომ მე მართალს ვამბობ.

მთელი ოთახი სავსეა ხელთნაწერებით, საწყობია ქაღალდის.

1905 წლიდან რაც რეზოლიუცია დაუწერია, ყველა შენახული აქვს.

მთელ უბანში მარკოზი ცნობილი იყო, როგორც რეზოლიუციების მწერალი.

ყოველთვის და ყოველგვარ შემთხვევისათვის მზადა ჰქონდა მას რეზოლიუცია და უნდა გენახათ, როგორი ექსტაზით, როგორი გატაცებით და სიყვარულით კითხულობდა მათ. სხვას არასოდეს ანებებდა თავის რეზოლიუციის წაკითხვას.

— დამიმახინჯებს, ყმაწვილო, რომელიმე სიტყვას და მთელს ნაშენობას ნაცარ-ტუტათ მიქცევს,—ამბობდა.

ყველა კრებაზე, მარკოზი თუ იყო იქ, რეზოლიუციისათვის სიტყვა მას ეკუთვნოდა...

და განა მარტო კრებებზე?!

მახსოვს ერთხელ მეგობარი მომიკვდა და დასაფლავებაზე ვიყავით.

რა თქმა უნდა დასაფლავებაზე მეგობრებმა სიტყვა წარმოსთქვეს, აქვს, ადიდეს განსვენებული. ჩამოსთვალეს ყველა მისი თვისებები. ზოგი მოჰორეს, ზოგიც მართალი სთქვეს. (მიცვალებულზე ცუდს არას იტყვიან).

ხალხი უსმენდა... იცრემლებოდა... არშიყობდა... იცინოდა როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე დასაფლავებაზე.

ჩვეულებრივი მოვლენაა: ამ ქვეყნად ერთი კვდება, მეორე ცოცხლობს.

ადამიანი ისეთია, რომ პირღია საფლავის წინაშეც არ იტეხს იხტიბარს.

ერთს რომ დარდით გული მისდის, მეორე სწორედ მაშინ იწყებს არშიყობას. მოხერხებულ დროს საფლავის პირზე პოულობს.

იმას ვამბობდი, რომ სიტყვებს ამბობდენ მეთქი. ყველა რომ მორჩა, თავის მოვალეობა მოიხადა და თითო ოროლა თბილი სიტყვა ჩაატანა მიცვალებულს ცივ სამარეში, მარკოზ გამოჩნდა...

— მოქალაქენო,—დაიძახა ჩვეულებრივ მკვირცხლად. და თეთრ წვერზე ხელი გადაუსვა,—ჩვენ მოვისმინეთ აქ მრავალი სიტყვები, რომლებშიაც განსვენებული ზედ მიწევნით არის დახასიათებული. რადგანაც სიტყვები ამოწურულია, საჭიროა...

უკვე ვიცოდი რასაც იტყოდა. გავწითლდი, მის მაგიერ მე შემრცხვა.

გავიპარე...

მეორე დღეს მარკოზ ქუჩაში შემხვდა. ჩვეულებრივ გამაჩერა. მხარზე ხელი დამკრა...

— ჩინებული რეზოლიუციაა, ყმაწვილო, თავი არ მომიკვდება ჩინებული.—მითხრა, ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და წამიკითხა:

„მოისმინა რა მრავალი სამგლოვიარო სიტყვები ახალ გარდაცვალებულ კარპიდონ ხუტუასძე ხუტიცხვირიაშვილის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ის ფაქტი, რომ განსვენებული, როგორც ეს გამოირკვა სამგლოვიარო სიტყვებიდან, რომლებიც მრავლად იქნენ წარმოთქმულნი მისი დაკრძალვისა და შავ სამარეში ჩაშვების წინაშე, იყო კაცი ფრიად სათნო, მადლიანი, პატიოსანი, საქმის ერთგული, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში უმწიკლო და აგრეთვე იმასაც, რომ ასეთი კაცის დაკარგვა საზიანოა და სამწუხარო, როგორც განსვენებულ კარპიდონ ხუტუასძე ხუტიცხვირიაშვილი ოჯახისათვის, ისე მით უმეტეს ახალ სოციალისტურ აღმშენებლობაში მყოფ მუშათა და გლეხთამჭდირო კავშირზედამყარებულ სახელმწიფოსათვის, რომელიც მუშაკთა დიდ განკლებობას განიცდის, მით უმეტეს გამოცდილისა და საქმისადმი ერთგულისა,—კრება მწუხარებას გამოსთქვამს მისი დაკარგვის გამო.

„ითვალისწინებს რა იმ მდგომარეობას, რომ ჩვენში კიდევ არსებობენ ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, რომლებიც შესაძლებლად ხდიან ისეთ სასარგებლო და უნარიანი ადამიანების სიკვდილს, როგორიც არის კარპიდონ ხუტუასძე ხუტიცხვირიაშვილი,—კრებას საჭიროდ მიაჩნია საჭირო ღონისძიებათა გატარება ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად და ასეთ არა სასურველ მოვლენათა თავიდან ასაცილებლად მომავალში.

კრება გამოდის რა ზემოდ თქმულიდან, წინადადებას აძლევს სათანადო ორგანოებს სათანადო ზომები მიიღონ აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად. პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად არჩეულ იქნას საგანგებო კომისია“

წაიკითხა. გამარჯვებული კაცის პოზა დაიკავა და ამაყად შემომხედა.

— ერთხმად მიიღეს, თავი ხუ მომიკვდება. ბოშო, ჩემ მიერ დაწერილ რეზოლიუციას წინ რა დაუდგება ერთი მითხარი.—დაუმატა და კიდევ შემომხედა.

ალბად მიხვდებით, რომ რეზოლიუცია სასაფლაოზე იქნა გამოტანილი. რა თქმა უნდა, ერთხმად ან და უკეთ ის მიღებული იქნებოდა უხმოდ...

მარკოზს რეზოლიუციები კატეგორიებად ჰქონდა დალაგებული. ყოველგვარ შემთხვევისათვის მზად ჰქონდა მას სათანადო რეზოლიუციის ნიმუში.

ერთ „მშვენიერ დღეს“ მარკოზმა სამუდამოდ მიატოვა რეზოლიუციების წერა.

ის საბედისწერო დღე ღრუბლიანი გათენდა, მარკოზს დილიდანვე ენიშნა, რომ დღე უმარცხოთ არ აგათავდებოდა, ჯერ იყო და დილა ადრიან მარკოზს რძე შეუსვა მეზობლის შავმა კატამ. გაბრაზებულმა მარკოზმა კატას რაც მოჰყვა ხელში ის ესროლა და უკან გამოუდგა; ეს რაღაცა მარკოზის ჩიბუხი აღმოაჩნდა, რომელიც, რასაკვირველია დაიმსხვრა. მარკოზს კი ფეხი გაუცდა და ლაზათიანად გაიშხალთა დერეფანში, რამაც მეზობლებში სიცილ-ხარხარი გამოიწვია. სახლიდან მარკოზ გაბრაზებული გავიდა. ოციოდე ნაბიჯი არც კი გადაედგა, რომ სხვა უსიამოვნება შეხვდა: მეორე სართულიდან ვიღაცამ წყალი გადმოულვარა და მარკოზს ზედ ზურგზე დაასხა. ტრამვაის გაჩერების ძებნამ ხომ სულ გადაიტანა ეს დარბაისელი კაცი. რონოდაში რომ ჩაჯდა, რეზოლიუციის წერა დაიწყო, სადაც მილიციას საყვედურს უცხადებდა, იმის გამო, რომ კატებისა და ქუჩებში წყალის გადმოღვრის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებს, ხოლო აღმასკომს ტრამვაის გაჩერებათა წამ და უწუმ ტრიალისათვის. რეზოლიუცია ვერის ხიდზე ქარმა წაართვა და ქუდიც თან გაიყოლა.

ერთი სიტყვით ის დღე რაღაც უკუღმართი დღე გამოდგა.

საღამოზე იყო სხდომა. ე. ი. თანამშრომელთა საერთო კრება. კრებაზე ჩვეულებრივ იყო ხოლმე მოხსენებები, შეკითხვები, კამათი და რეზოლიუციაც. რეზოლიუციებს რასაკვირველია მარკოზ სწერდა. სულ რაღაც ათიოდე მოხსენება ჰქონდა მოსმენილი კრებას და ამდენივე რეზოლიუციაც იყო გამოტანილი.

მეთერთმეტე საკითხად იდგა მოხსენება საფუძრთხებლებისშესახებ, ე. ი. დაწესებულებისათვის საფურთხებ-

# მ ე ლ ა ს ა რ ა კ ი




— კაცს გული წაუვიდა... წყალი მოგვაშველეთ...
მთვრალი: არრრა... წყააალი არრ მინნნდა... ისევე ღვინო მმმომიტანეთ და...

ლის მეძენის საკითხი. მახსოვს, მომხსენებელი მუშტს ურტყამდა მაგიდაზე, სვამდა წყალს და ლაპარაკობდა ხაზებზე, წერტილებზე და „რეჟიმ ეკონომიაზე“. მოხსენება რომ მორჩა, მარკოზმა ჩვეულებრივ აიღო სიტყვა.

„მოისმინა რა მოხსენება“... დაიწყო მან, მაგრამ...

ვილაც წამოდგა და დაიყვირა.

— გეყოფა, კაცო ამდენი რეზოლიუციები. ლამის არის დავიხრჩობით. გამგე აქ არის, უთხრათ და შეიძენს, რა საჭიროა ამდენი ... და დავიდარაბა.

— მართალია, მართალი, იგრიალა კრებამ და პირველად თავის ცხოვრებაში მარკოზს აღარ დაამთავრებინეს ჩინებულად შედგენილი რეზოლიუცია... რეზოლიუცია, რომელშიაც იყო „მოისმინა რა“, „შესავალიც“, „მიიღო რა მხედველობაშიც“, ითვალისწინებს რა“-ც, „ძირს უსუფთაობა“-ც და სხვა.

თვით მიხვდებით, თუ რა ხასიათზე დადგებოდა მარკოზი.

მას შემდეგ მარკოზს რეზოლიუცია აღარ დაუწერია.

მიზეზი თუ ჰკითხე, ... წვერზე ხელს გადაისობს, ყალიონს გააბოლებს და სევდიანი კილოთი გიპასუხებს:

— მაგათ რა იციან, ყმაწვილო, მუშაობის წესი და რიგი. თავი და თავი რეზოლიუციაა. რა სჯობია, ერთი მითხარით, კარგად შედგენილ რეზოლიუციას. არ მესმის, ღმერთმანი, ურეზოლიუციოთ როგორ შეიძლება რამე გაკეთდეს!

— კი მაგრამ საფურთხებლების შეძენას რაღად უნდა რეზოლიუცია?!—თქვენ ეს წამოგცდათ. მარკოზი გაკვირვებით შემოგხედავსთ და უხმოდ მოგცილდებათ. შემდეგ ნუღარ ელით მისგან სალამს.

თუ თქვენ მარკოზთან კეთილი განწყობილება გსურთ შეინარჩუნოთ, გირჩევთ: რეზოლიუციებზე მასთან ლაპარაკს ნუღარ ჩამოაგდებთ.

ხოზიკა.



# რასაც გასცემ შენია, რასაც არ დაკარგულია

ავქსენტი (რა საჭიროა გვარის გამომჟღავნება) მეტად სიმპატიური და სასიყვარულო პიროვნება იქნებოდა, რომ ერთი ცუდი ზნე არ სჭირვებოდა, რითაც, ერთის მხრით ბევრ უსიამოვნებას აყენებდა თავის თავს, და მეორეს მხრით სახელს უტეხავდა შოთა რუსთაველს.

გაიცნობდა თუ არა ვისმეს ავქსენტი, სამი დღის განმავლობაში დაუღალავად ევლებოდა თავს, მეოთხე დღეს დაღვრემილი გამოეცხადებოდა თავის მსხვერპლს და რამოდენიმე მანეთს თხოვდა, თანაც სისწორით დაუნიშნავდა ვალის დაბრუნების დღეს და საათს.

მართლაც, დანიშნულ დროს ავქსენტი კაპიკს კაპიკზე ჩააბარებდა ვალს ნაცნობს და სარგებლის ანგარიშში მახლობელ სამიკიტნოში წაათრევდა კიდევ.

რამოდენიმე დღის შემდეგ ავქსენტი კიდევ უფრო დაღვრემილი გამოეცხადებოდა ნაცნობს და ეხლა უკვე ხუთ იმდენს თხოვდა და დღესა და საათს ეხლა წუთსა და წამსაც დაუმატებდა.

რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ ავქსენტის სამუდამოდ ავიწყდებოდა ვალიცა და ნაცნობიც.

და როდესაც, ბოლოს, მოთმინებიდან გამოსული მევალე კუთხეში მიიწყვდევდა ავქსენტის, ეს უკანასკნელი კი ასეთ შეკითხვებით მიმართავდა თავის სულთამხუთავს:

— დამაცათ... ერთი რამე მინდა გკითხოთ... მიგაჩნიათ თუ არა თქვენ შოთა რუსთაველი გენიოსად, და საერთოდ რა აზრისა ხართ მის „ვეფხის ტყაოსანზე“?

— რუსთაველი არაფერ შუაშია, ბრაზობდა სულთამხუთავი, ვეფხის ტყაოსანთან მე საქმე არა მაქვს!..

— ნუ ჯავრობთ... როგორია თქვენი შეხედულება მაინც. გეპარებათ თუ არა რაიმე ეჭვი სულმნათ რუსთაველის ბრძნულ აზრებში?..

— კარგი... ჯანდაბას შენი თავი... არ მეპარება... მერე?..

— თუ გემახსოვებათ, შოთა ამბობს: **რახაცა გასცემ შენია, რასაც არ დაკარგულია...** მოითმინეთ და თქვენც დავიბრუნე თქვენი...

ამგვარად, ავქსენტი თუმცა ლიტერატური არ იყო და „ვეფხის ტყაოსანი“ არც კი ქონდა წაკითხული რიგიანად, მაინც საკმაოდ უტეხავდა სახელს რუსთაველს, რადგან ვალების გადახდაზე არც კი ფიქრობდა.

ერთ დღეს მოუყარა თავი ავქსენტიმ თავის მევალეებს და ასეთ სიტყვებით მიმართა მათ:

— ამხანაგებო და მეგობრებო, სხვა და სხვა გარემოებათა გამო, მე იძულებული ვარ, თუ სამუდამოდ არა დიდი ხნით მოგშორდეთ თქვენ და რამდენად ძნელი არ უნდა იყოს ეს ყოველ პატიოსან პიროვნებისათვის, განსაკუთრებით ძნელია ეს ჩემთვის. რადგან ჩემი წმინდა სინდისი მქეჯნის და მოსვენებას არ მაძლევს დღე და ღამ...

— ამხანაგებო, მე გეკითხებით თქვენ და მიპასუხეთ გულწრფელად: მისესხებია თუ არა მე თქვენგან ფული?

—მაშ არ გისესხებია?..

— კარგი... მომირთმევია თუ არა პირველი სესხი დანიშნულ დროზე წუთზე წუთით?..

— მოგირთმევია!.. მერე?..

— ამის შემდეგ ნასესხები აღარ დამიბრუნებია ხომ?..

— არ დაგიბრუნებია, მაგრამ სად ჩაძვრები!..

— მართალია... ამიტომ მე გარდაწყვეტილი მაქვს დღესვე დაგიბრუნოთ ყველას თავთავიანთი ვალები, რომ ამ განშორების ჟამს წარსული უსიამოვნებანი სამუდამოდ ჩაბარდეს წარსულს...

აქ გაბრწყინვებულ თვალებით ავქსენტიმ ჩაიყო უბეში ხელი, ამოიღო ქაღალდების თხელი დასტა და ამაყად დასდო მაგიდაზე.

— ამხანაგებო, მთელი ექვსი თვის განმავლობაში საიდუმლოდ და მთელი ქვეყნის ფარულად ვაგროვებდი მე ამ ფულს. ვინ იცის რამდენი სადილი გადამიტარებია მარტო ხმელ პურზე და უმ წყალზე, რომ როგორმე ეს მცირე თანხა შემეგროვებია და სამუდამოდ განვთავისუფლებულიყავი თქვენს ვალებისაგან... უნდა გამოგიტყდეთ, რომ დღევანდელი დღე ასჯერ უფრო სასიხარულოა ჩემთვის, ვინემ თქვენთვის. დღეს ჩემი სახელის და პატიოსნების აღდგომაა, დაბადება და აღორძინება, გაშლა და გაფურჩქვნა!..

მევალეები ერთმანეთს უცქეროდენ.

ავქსენტის მიერ ვალების გადახდა ეს ისეთი უცნაური რამე იყო, რომ არავის სჯეროდა,

მაგრამ, როდესაც ავქსენტიმ ყველას თავთავისი ჩაუთვალა, ყველა დარწმუნდა, როგორ პატიოსან პიროვნებასთან ქონდათ საქმე.

— მეგობრებო, მიმართა აქსენტიმ ისევ თავიანთ ნაცნობებს, ნიშნად წარსულის დავიწყებისა და ჩვენი შერიგებისა, გთხოვთ დღეს საღამოს მობრძანდეთ ჩემთან პატარა ვახშამზე... თითქმის ჩაიზე... თუმცა ბევრით ვერაფრით გაგიმასპინძლდებით, მაგრამ, ხომ იცით, გულწრფელი გულით მორთმეული ასჯერ უფრო დასაფასებელია... არა... უარს ნუ მეტყვით... მე მსურს, რომ ეს ვახშამი სარგებელი იყოს იმ ნაღდ ფულისა, რომელიც ამდენი ხნის შემდეგ, ვეცადე და უკანვე დაგიბრუნეთ...

იმ საღამოს ყველანი ავქსენტის გამოფხეკილ ბინაზე შეიკრიბენ.

სუფრაზე სამი ბოთლი ღვინის, კალბასის და ცოტაოდენი მწვანილის გარდა არაფერი სჩანდა.

პირველი ჭიქა თვითონ ავქსენტიმ აილო.

— ძმებო, (ნება მომეცით დღეს ასე გიწოდეთ) ეს პირველი ჭიქა მე მსურს დავლიო იმ სულმნათ პიროვნების სადღეგრძელოდ, რომლის ნათელი აზრები რვა საუკუნის შემდეგაც გვინათებენ ბნელ გზას. მაშ ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ჩვენი შოთა, უკვდავ ვეფხის ტყაოსნის დამწერი!..

გაიმართა ქეიფი. აღნიშნულ სამ ბოთლიდან ყველაზე მეტი თვითონ ავქსენტის შეხვდა.

ბოლოს, როდესაც გამომშვიდობების დრო დადგა, მასპიეძელი არსად სჩანდა.

ვილაცამ აღარ დაიწყო ლოდინი და შინ წასვლა მოისურვა.

როდესაც წინა ოთახში გამოვიდენ, საკიდებელზე პალტოების ნაცვლად ასეთი წარწერა დახვდათ ჩამოკიდებული:

რაც უნდა სთქვათ , შოთა მაინც მართალია. დარწმუნებული ვარ, რომ მისი ბრძნული აზრები აწიც საკმაოდ გამინათებენ გზას*)

თქვენი ავქსენტი.
**ხინემატი.**

---

*) ალბად გამსახლისაკენ.

ტარტაროზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიურიდან

ვიყავ „ზაგმუკზე“..
ვნახე „დისპუტი“
სულ მთლად დამებნა
მე გზა და „პუტი“:
ახმეტელმა სთქვა:
—ვართ ყველაფერი;
თეატრს უცვალეთ
ნირი და ფერი...
წავიდა კოტე?
არც მე ვარ ბოთე...
ყური დამიგდე,
ჩემო კიმოთე,
როცა გავრეკეთ
ჩვენი ბებრები
და ასისინდენ
სუყველა მტრები,—
ყველა ფიქრობდა,
რომ დაიღუპა
თეატრის კერა...
მაგრამ მე ვიტყვი:
„მოგართვით ვერა“...
დღეს ჩვენ მოვემაგრდით...
„პროჩ ჩვენგან რუკი“
ამას ამტკიცებს
დრამა „ზაგმუკი“.
გლახა არა სთქვათ,
იყავით მუნჯი,
ამას გიბრძანებთ
ჩვენი „დურუჯი“.—
და მეც დავდუმდი,
ენა დამება,
მხოლოდ გულში ვსთქვი:
ერა ღირს მარტო...
თავისა ქება...

---

გამოველ გარეთ დაღონებული,
მიუახლოვდი ოპერის თეატრს;
„დემოკრატია“ საყვედურობდა:
და რალას უშვებდენ აბონენტებს?
ჩვენთვის კარგ რამეს
ვინ გაიმეტებს?!
მივუახლოვდი „გოსისდატის“
ლამაზ „ვიტრინას“
(ანუ პოეტად მოწოდებულთა
მუდმივსა ბინას)
ვითარდებოდა ახალგაზრდობა
წიგნების ხედვით
მსჯელობდენ ზორბად პოეზიაზე
დიდი გაბედვით.
დიდხანს იმსჯელეს...
ასტკივდათ თავი,—
მაგრამ პოეტმა ლვინეფაძემ
დაამყარა მათ შორის ზავი:
ბრძნულად აუხსნა ლვინეფაძემ,
რომ პოეზია კარგი ხილია...
„ქართულმა „წიგნმა“
ვერ გამოსცა ჯერაც ილია
როგორც ეტყობა
აქციები შემოელია.

კაკოს ბიძა.

„რომის პაპა ეცნობა რადიოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით“.



პაპა: ეს რა საზარელი ხმები მესმის? ჭეშმარიტად: რადიო ეშმაკების მოგონებაა და მხოლოდ მათ შეუძლიათ რადიოში ლაპარაკი.

სპეციალისტი: გვაპატიეთ კურთხეულო; შეცდომით საბჭოთა კავშირს შეუერთეთ.

„პილსუდსკი სასტიკად სდევნის ოპოზიციონურ გაზეთებს“.



პილსუდსკი (ლაქიას) აბა, მეორე კერძი მოიტა...
ალბად ის უფრო გემრიელი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნივერსიტეტში



— სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტის დერეფანში პაპიროს არ ეწევით...
**სტუდენტი**: თქვენ გგონიათ ეს გაზრდილობით არის? არა... პაპიროსი ძვირი აქვს და ეს იმიტომ..

# „აქეთაც და იქითაც“

საკმაოდ მდიდარ ოჯახში დაიბადა ამბაკო.

ამბაკოს მამა—გიორგი დიდი მოხერხებული და „წარჩინებული“ კაცი იყო. სადაც კი იმ არე-მარეში ქორწილი, ან რამე სხვა წვეულება იქნებოდა, გიორგი აუცილებლად თამადა და „საპატიო სტუმარი“ იყო.

სამაგიეროდ: ისე კვირა არ გავიდოდა, რომ გიორგის ოჯახშიაც ქეიფი არ გამართულიყო...

და სწორედ ამ ქეიფის წყალობით იყო, რომ გიორგი ყველგან და ყველასთან აკეთებდა საქმეს. რასაკვირველია, გიორგი ანგარიშის კაცი იყო: რაც დაუჯდებოდა თავის ოჯახში გამართული ქეიფი, იმას გაათკეცებით მაინც აიღებდა, გაინაღდებდა.

— რა ვქნა ჩემო კარგო. არ გადაგახდევინებ, მაგრამ ხომ იცი, გუშინ-ღამ რომ ქეიფი გავმართე, ეს იმიტომ რომ შენი საქმე მქონდა გასაკეთებელი და ის კაცი სახლში დავპატიჟე. თუ პატივი არ ეცი, ისე არავინ არაფერს გაგიკეთებს... ყოველთვის ჩემი ჯიბით ხომ ვერ გავმართავ ასეთ ქეიფებს თქვენი საქმის გასაკეთებლად? თქვენც ცოტათი ამინაზღაურეთ ქეიფების ნახარჯი და. გიორგის დღეგრძელი სიცოცხლე აქვს, „პრისტავთან“ და მამასახლისთან კი არა, „ეეზნის ნაჩალნიკთან“ გავაკეთებ საქმეს.ამბობდა გიორგი მეზობლებში...

მეზობლები სასამართლოში თუ ადმინისტრაციაში ყოველივე საქმის გასაკეთებლად გიორგის მიმართავდენ. გიორგი დაპატიჟებდა „დიდ-კაცებს“... და მართლაც ძალიან ხშირად „აკეთებდა“ საქმეს.

ასე და ამგვარად გიორგის ოჯახში ხშირი იყო ქეიფი, რომელიც გაათკეცებით უნდა აენაზღაურებია ისევე სოფელს.

ჰო-და აი ამ გიორგის შვილი არის ჩვენი ამბაკო...

და რა გასაკვირია, რომ მამამ შვილი პატარაობიდანვე ცხოვრების სწორ და ნათელ გზაზე დააყენა: ამბაკო დიდი ჩინოვნიკი იყო.

როცა გიორგიმ ყველაფერი მოაწყო, ე. ი. კარგი სახლკარი აავო, მამულები შეიძინა, შვილი „დიდი კაცი“ გამოიყვანა,—რაღა დარჩენოდა ამ ქვეყნად მთელ თავის სიცოცხლეში ნაქეიფარ კაცს!! ადგა და ერთ მზიანს დღეს იმ ქვეყნისკენ გაუდგა გზას.

ამ ქვეყნად კი მისი შვილი ამბაკო განაგრძობდა ცხოვრების გზას. რომელზედაც მამამ დააყენა.

ამბაკოს ბევრი ამხანაგები თანაუგრძნობდენ და ზოგი მათგანი კიდეც ეკუთნოდენ სოციალისტურ პარტიებს, რომლებიც უფრო და უფრო ძლიერდებოდენ და ემუქრებოდენ არსებულ წესწყობილებას, ამას ხედავდა ამბაკო და ამიტომაც იყო, რომ იგი ცოტათი კიდეც „მოისოციალისტებდა“, მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა „პრისტავ-ნაჩალნიკთან“ ძალიან ხშირად ექეიფა და დრო გაეტარებია.

წინ მიდიოდა ამბაკოს საქმე... და იგი „დიდი კაცი“ გახდა..

მაგრამ მოულოდნელად მოუსწრო თებერვლის რევოლიუციამ, რომელმაც მეფე და მთელი მისი ამალა გადმოაკინწისთავა ძირს.

ამბაკოს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა „ყოფნა არ ყოფნის საკითხი“. შეუერთდეს რევოლიუციას?.. მერე-და ისევ მონარქიამ რომ გაიმარჯვოს?.. არ შეუერთდეს და, რას ეტყვიან ამხანაგები, რომლებიც იცნობდენ ამბაკოს და იციან რომ ამბაკო ოდესმე „მოისოციალისტებდა“!

როცა მან თვითონ ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი, ცოლი მოიხმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კატასტროფა“



დი ამბავია!? შე უზრდელო შენა, თვალები არა გაქვს რომ დამეჯახე?

ბამპლელი: ვაჰ! ამას უყურე და! კონკა კონკას ეჯახება, პოეზდი პოეზდსა და—შენ რომ დაგეჯახო დი-დი ამბავია!?

---

— აქეთაც და იქითაც—წამოიძახა ცოლმა დიდი კამათის შემდეგ.

ამ სიტყვებმა ისე გაუბრწყინეს სახე ამბაკოს, რომ, გეგონებოდათ, ეს არის კაცმა ამერიკა აღმოაჩინაო.

— აბა როგორ არის ამბაკო საქმე? საით ხარ; რევოლიუციის მხარეზე და წინააღმდეგ?—შეეკითხა ამბაკოს ერთი ძველი მეგობარი, რომელსაც დიდი თანამდებობა ეჭირა მენშევიკების მთავრობაში.

— განა თქვენ იჭვი გეპარებათ, რომ მე რევოლიუციასთან ვიქნები? განა საკითხავია, რომ მე ძველი მარქსისტი ვარ და მრწამს, რომ რევოლიუცია ერთადერთი გზა არის ჩვენი მიზნების მისაღწევად?—ამბობდა ამბაკო... და იგი ისევ ძველ დიდ თანამდებობაზე დარჩა.

— ჩვენი კაცი ყოფილა იქ სათავეში.—ამბობდენ მენშევიკები.

---

მაგრამ, თითქოს ამბაკოს ჟინაზე, კიდევ რევოლიუცია მოხდა: ბოლშევიკებმა საქართველოშიაც ჩაიგდეს ძალა-უფლება ხელში.

ამბაკოს წინაშე ისევ წამოიჭრა „ყოფნა არ ყოფნის საკითხი“.

— აბა, კიდევ ახლა მჭირია შენი გამჭრიახობა—მიმართა ამბაკომ ცოლს.

— აქეთაც და იქითაც. აკი გასწავლე! ცოხვრებაში მუდამ ეს პოლიტიკა ატარე და მშვიდობით გახვალ მეორე ქვეყანაში.

— კი მაგრამ, ეს პოლიტიკა ხომ მენშევიკურ პოლიტიკას: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“-ს ჰგავს ლა ისინი ხომ დამარცხდენ?.. და ვაი თუ მეც დავმარცხდი?!

— დარდიც ნუ გაქვს... მთელი პარტია და სახელმწიფო ვერ გადაარჩინა ამ პოლიტიკამ, თორემ ერთ კაცს ძალიან ადვილად გადაარჩენს.—აიმედებდა ცოლი.

— კაცო, ის სოციალისტური პარტია, რომელიც დაივიწყეს პროლეტარიატის და მშრომელთა ინტერესებს, დასამარცხებელია და ძალიანადაც მიხარია, რომ მენშევიკები დამარცხდენ. აი, ძმაო, სოციალისტები თქვენ გქვიათ ბოლშევიკებს. მთელი ჩემი უნარით და შესაძლებლობით ერთგულად ვემსახურები საბჭოთა ხელისუფლებას და საჭიროებამ რომ მოითხოვოს, სიცოცხლესაც არ დავიშურებ მის დასაცავად.—ყველგან, სადაც კი კომუნისტი შეხვდებოდა, დაიწყებდა ლაპარაკს ამბაკო...

ალბად ასეთი ხერხით შერჩა ამბაკოს თავისი დიდი თანამდებობა.

— ეჰ! ცხოვრობ ისე ძაღლსავით. კაცო, არ იქნა და ვერ მოვაშორე თავი ამ სამსახურს. რამდენჯერ მივეცი განცხადება დათხოვნის შესახებ, მაგრამ არ გამიშვეს... ამათთან მუშაობას კი სიკვდილი მირჩევნია... მათებურად არ ვაკეთებ საქმეს, მაგრამ მაინც მეჯავრება და მეზიზღება მაგათი სამსახური—ეუბნებოდა ამბაკო ერთ ძველ გახუნებულ მენშევიკს.

---

არ ვიცი რატომ, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ამბაკო ეხლა ციხეში ზის და ასე ფიქრობს:

— სულელო ჩემი თავი, რატომ ვერ მივხდი, რომ მენშევიკური არაფერი არ ვარგა, არა თუ ლოზუნგი და დევიზი. „არც მარჯვნვ, არც მარცხნივ“ ანუ ჩემებურად: აქეთაც და იქითაც... აბა ხომ არ შეიძლებოდა: არც აქეთ არც იქით!?! და მეც ვიყავი აქეთაც და იქითაც... ამ ციხეში ამიხდა მენშევიკების ლოზუნგი: არც იქით, არც აქეთ... სად უნდა გავექანო, როცა გარშემო ოთხი კედელია. აი სწორედ ეს არის: არც იქით, არც აქეთ... ისეირნე ამბაკო ამ ოთხ კედელს შორის აქეთაც და იქითაც.

**შ. გორისელი.**



I



II



III




IV

1. **„ფლანგუს-გადაყლაპუს“**
2. **„სიმულიაციკუს“**
3. **„პარაზიტუს-ხულიგანუს“**
4. **„თავმჯდომარიკუმ-ბიუროკრატუს“**

# ამოცანა

**მათემატიკის გაკვეთილი**

მოსამსახურე, რომელიც სამსახურში მიდიოდა, დილის 8 ნახევ. საათზე რუსთველის თეატრიდან ჩაჯდა სადგურისაკენ მიმავალ ტრამვაის რონოდაში მაშრუტი 2, რონოდის **№ 60 ა.** მგზავრმა კონდუქტორს მისცა 15 კაპ. და უთხრა: **„კირკამდი“.** კონდუქტორმა მგზავრს მოუხია ბილეთი.. და ხურდა როცა მოსთხოვა მგზავრმა, კონდუქტორიდან პასუხი მიიღო: თქვენ **„პირდაპირ“** მითხარით და მეც პირდაპირი ბილეთი მოგეციო... თუ ვინმე ჩამოჯდა რონოდში და **„პირდაპირ“** ბილეთი აიღო, მაშინ თქვენს ბილეთს უკანვე დავიბრუნებო, თუ არა და თავი კედელს ახალეო... (მგზავრის ბილეთის **№ 24576 სერ. 14)** შემდეგ გაჩერებაზე ვაგონში ჩამოჯდა მგზავრი, რომელმაც აიღო **„პირდაპირ“** ბილეთი **№ 24577 სერ. 14...** მაგრამ კონდუქტორმა **„წაიყურა“**...

უნდა გამოვიცნოთ კონდუქტორის სახელი და გვარი.

„მემაღაროელნი დასთანხმდენ განაახლონ მუშაობა რვა საათის ნიადაგზე... მაგრამ სინამდვილეში რვა საათის დღე ქაღალდზეა მხოლოდ“.
(გაზეთებიდან)



ჩემბერლინის და ბოლდუინის ტრიუმფალური ეტლი

# ზ ე ს ი კ ი ს ბ ა ღ შ ი

ქუჩა ზესიკისა.
შესახვევი ზესიკისა.
მოედანი ზესიკისა და,
ალბად, ბაღიც ზესიკისა.

ზესიკის ბაღში შეველი,
შევედი შენაღონები;
მოკრებად მსურდა სევდიანს
ვარდ-ყვავილების კონები...
მაგრამ ახლა სულ ჩამწარდა
შიგ ვნახე ნეხვის გორები; ,
ამასთანავე ცხოველთა
ყველანაირი მძორები;
ამოვარდნილი ბუჩქები,
იმათ ადგილას ღორები
და სიბინძურის მომტანნი
მახლობელნი და შორები...
სიმართლეს ვამბობ პიტალოს,
არვის გეგონოთ ჭორები.
ჩვენ თვით მივმართეთ აღმასკომს,
ვითხოვდით ყურადღებასა,
მოვლა ამ კოხტა ბაღისას,
გაფურჩქვნას, აყვავებასა.
მაგრამ ეს არძა მცირე ხანს
ჰქონდა მას ყურში ქავილად
და ჩვენი ხმა კი ხმად დარჩა,
უდაბნოს შინა ჩხავილად.
სხვა გზა არ არის,—ტარტაროზს
უნდა მივმართოთ ბოლოსა,—
ნუ დაგვიჭკნობენ მთაწმინდელთ
ტკბილ იმედების ღოლოსა.

აქური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლელი: გამარჯობა შენი... აქანე სასახლის დვაორეცი იყო სადღაც და სად არის ნეტა?
მილიციელი: სასახლე იქით არის რუსთველის პრ ოსპექტზე.
სოფლელი: რუსთველის პროსპექტი სად არის?
მოქალაქე: გოლოვინსკზე!
სოფლელი: ჰოო...

# ზმუკს

შემოქმედში ვცხოვრობ
ჩემთვის ბერი კაცი
ბევრჯერ შემაწუხე,
ბევრჯერ ჯვარზე მაცვი.

რა არ შემომწამე:
რა არ მომიგონე:
ხან გამხადე ლაჩრათ,
ხან კი დევის ღონე

მომე და აქა-იქ
მამასხრე, მატარე...
ხან მაცინე გულით,
ხან კი წამამწარე.

—მოვკლავ იმ მამაძაღლს
ბევრჯერ დამიფიცავს...
მაგრამ ეხლა მივხდი:
ტარტაროზი მიცავს...

და მეც არ გენდური
ჩემო ძმავ თუ... ბიძავ.
დღეს ამბავი მითხრა
„ლევარსი აქ მოდი,

და იმისთვის იგი
ააშენოს ღმერთმა...
ლევარსი აქ მოდი,
იყავ ჩემი ნადი“.

„ახ, ლევარსი ჩემო,
დღემდის რად არ სჩანდი?“
თოვლი მოდიოდა,
გულზე სევდა მეწვა;

წულა შემომაცვდა,
შარვალი არ მეცვა.

ცოლიც მიწყრებოდა—
არა მაქვსო კაბა...
ვიხურავდი საბნად
ჩამოგლეჯილ ნაბადს...

და ვღებულობ ერთ დღეს
შარვალს, კალოშს. ბლუზას,
ვინც ეს მიწყალობა
მას ღმერთი კარგს უზამს.

სიხარულმა კაცი
კილამ წამაქცია
და მადლობას ვუძღვნი
მე თქვენს რედაქციას.

თურმე ზმუკი მწყალობს,
ტარტაროზი მიცავს
და მეც არ გიწყრები
ჩემო ძმავ თუ.. ბიძავ.

ძლიერ მინდა გნახო
და არ ვიცი როდის?!
ერთ კაცს დავაბარე
რომ ზამთარი მოდის,

ტყეები ივსება
კვერნითა და ჯიხვით..
კურდღელი და შველი...
ტყის ქათამი, იხვი.

მთაში დათვი დადის,
ბარს ეწვია მგელი...
ხბოებს გვიხრჩობს. არ გვაქვს
მაწონი და ყველი...

ნადირობას ვნატრობ
მონადირე ძველი...
შინელს, თოფის წამალს
ისევ შენგან ველი.

ასაკიოალს დაეუფლა
ძთელი მგლების ხროვა
და სოფელი გაიძახის:
—ნეტავ როდის მოვა.

მონადირეთა კავშირის
თვითეული წევრი
მართლაც ერთ დღეს შეიკრიბა,
ხალხი ბევრზე ბევრი.

წაიყვანეს მეძებრები
წევრები ჯოგათ;
ზოგი წაწვა ჯაგნარებში
ზოგმაც წაიჩოქა.

და როდესაც გამოიჭრა
ცაბედად მგელი,—
მ ჩვენ ქებულ მონადირეს
ეუჩერდათ ხელი.

ნეტავ რატომ ვერ ვესროლეთ“?!
მბობს ერთი ნაღვლით:
ერ ვიცანით, ჩვენ გვეგონა
ოგის დიდი ძაღლი.—

მონადირეთა კავშირებს
ყავს ასეთი ხალხი;
(იმათ უფრო დაშვენდება
არშინი და დახლი).

წრეულს მე მსურს ჯეელ ბიჭებს
წინ წაუძღვე სარდლად,
მივეხმარო საწყალ გლეხებს
და დავიხსნა მართლა.

რომ მგლები არ სჩაგრავდეს
ქვრივებსა და ობლებს,
და ვეწვევი მოკლე ხანში
ახლო-მახლო სოფლებს.

ლევ. როხროხაძე (სპილო-ღოლანი).

# რაშია საქმე?

ტუსაღის ნაამბობი

**(გურული სცენა)**

არა, ყოლიფერი კი გამიგონია და რაცხა კი მინახავს, მარა ამფერი, აფერი არა მე და ჩემმა ღმერთმა. რავა, ციხეში არ დავბადებულვარ, თვარა კი გევიზარდე; პირდაპირ· რა ვიცი რა ამბავი გადამხთენია, წისქვილი არ დამტრიალებია თავზე, თვარა სხვაი აფერი მაკლია; წელიწადში ცხრაი თვეი ციხეში ვიყავი და მიდღემჩი არ მინახავს ციხეში: აი წრეებიო, აგი ფიზკულტურაიო, აგი იურიდიულიო, აგი გაზეთის გამობექვდაო, აგი წერაკუმიო და რა ვიცი; რაშია ნეტაი საქმე? რავა, აგი ციხეა ნიკოლოზას და იმ ჩვეხს მენშევიკებს რომ ჰქონდა, თუ სლაბოდხი უჩრეჟდენიაა სხვადასხვა განყოფილებებით დანაწილებული?! საქმე რაში უნდა იყოს იცით? აგი რაცხა კომნისტებია გეიდგა და გეიდგა ძირი და ფესვი და ამ პატიმრებს ისე უწყობენ საქმეს, რომ თლათ ახალ კაცად აქცევენ ამფერ მუშაობით· ვინც კი მოხთება ამფერ ციხე უნივერსიტეტში და ცოტას კი დუუკვირდება ცხოვრებას, მერე იგი კიდევ არ უნდა მოხთეს ბადეში. მარა რა გითხრა იცი? ზოგი რომაა, ძამიავ იქინე სახლში არ ექნება ასეთი ცხოვრება და იგი რაფერ გინდა მოარჯულო? მარა იმასაც ქე უყურებენ თურმე განიდგან ჩუმათო და თუ იმ ფერი გუუსტორებელია, მეორე და მესამე გზობა რომ მოძღაბლავენ, ქე მიარასხოლიან თურმე და მერე უყარე კეკალი

**ყირ-ტარი.**

# სწორი პასუხი



**მასწავლებელი** (მოწაფეს): აბა ეხლა შენ მითხარი, თუ რა შემოაქვთ უმთავრესად ბათუმის მხარიდან?
**მოწაფე:** კანტრაბანდა, მასწავლებელო...

# უმუშევარი

**„სოფლიდან გამორბიან ქალაქში სამსახურის საშოვნელად, რაც იწვევს უმუშევრობის გადიდებას“**

**(გაზეთებიდან).**

დღეის შემდეგ თბილისიდან
 ნეტავ რას ველი?!
გავათავე კაპეიკი
 უკანასკნელი.
არ-რას მაძლევს ეგ ცხოვრება
 ოხერ-ტიალი;
მხოლოდ მრჩება კვლავ უფასოდ
 მე ხეტიალი.
სადაც მიველ, ყველგან მითხრეს—
 სტაჟი თუ გაქვსო;
აქ უსტაჟო, ხომ-კი იცით,
 ხვეტავს ნაგავსო.
ჰე, ცხოვრებავ უკულმართო
 გაუგებარო,
მითხარ სტაჟის მისაღებად
 ვის მივებარო!?

———

ვერვინ ვპოვე—ამაშოროს
 ეს სიღარიბე;
მხოლოდ ის მცნობს, ვისაც ჩემებრ
 უტირის ჯიბე.
ერთი სიტყვით გავიცვითე
 და გამოვხუნდი.
სულ წავხდები თუ სოფლისკენ
 აღარ გავბრუნდი.
სხვა რა გზა მაქვს, მივაკითხავ
 ისევ ჩემ სოფელს.
მაგრამ ვიცი არ მიმიღებს
 მის უარ-მყოფელს.

ქალაქში რომ მოვდიოდი,
 მას ვაძაგებდი...
რა ვიცოდი, თუ ამისთვის
 პასუხს ვაგებდი!

აწ რა პირით მივაკითხო
 ჩემგან ძაგებულს?!
საზრდოს ვინღა დამახვედრებს
 მომარაგებულს!

მუშაობის „ოქროს ხანა“
 უქმად ვატარე.
მაგრამ ახლა სულ ჩამწარდა
 რაც ვინეტარე.

ფულიც არ მაქვს, მეგობრებშიც
 ნდობა დავკარგე—
ვწყევლი იმ დღეს, რო თბილისში
 ჩამოვებარგე.

რომ შემხედოთ, გარეგნულად
 თუმცა ვიცინი,
მაგრამ გულში ისმის მწარე
 მოთქმა-ქვითინი.

დღეის შემდეგ თბილისიდან
 ნეტავ რას ველი?!
გავათავე კაპეიკი
 უკანასკნელი.

**ქაჯი.**

# პასუხი

ძილი არ მაქვს, ტარტაროზ,
მოსვენება ღამითა.
მოწამე ვარ ცხოვრების
ტრაღედია—დრამისა.
დაღონდები რომ ნახო
ჩვენი პერიფერია!
ის, ვინც პორტფელს ატარებს,
თურმე ყველაფერია.
(თუ იმხილე, რამე სთქვი
ყველა შენი მტერია).
და მეც ვდუმდი დროებით,
ტაქტიკური ნიშნებით!
მოწოდება ვისმინე—
დარდათ გადავიშლები.
იმედი მაქვს, ძამიკო,
შენც აწ დამენდურები!—
მე სოფელში ვიქნები,
(მიყვარს მთა და ბარები),
შენ კი დედაქალაქის
დაამშვენე კარები...

**ჭაგნელი ბზიკი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამტრედიის დეპოს უფროსის ცხოვრებიდან



მუშები (გამგეს): ამხ. ნოე, სად არის ჩვენი უფროსი? ნუ თუ სამმართველოში გადაიტანა დეპო, რომ უდ-ველოვის იქ არის!?

ნოე: ხომ ხედავთ კაბინეტი დაკეტილია; შიგნიდან რომ ხმაურობა ისმის, ის ვირთხებია.

# „ავაგორო"-ს პარტია

შალვა (ტელეფონზე). ტრრ... ტრრრ.. სადგური, სადგური!.. ა! შენა ხარ, მარუსია?.. როგორ გიკითხოთ? ხომ კარგათ? ა, ვერ ხარ კარგ გუნებაზე?.. რაიზა, რა ამბაკია!.. კასა გაქურდეს?.. ბიჭოს, ეს ახალი ამბავია!.. ბონდოზე გაქვთ ეჭვი?.. არა, ბონდი მაგდენი პატიოსანი არ არის; მაგას არ იკადრებდა იგი. ხო, კარგი. მაგი შემდეგ... ეხლა მომეცი ალმასკომი... გადავაბრუნო? აჰა გადავაბრუნე. (ურეკავს) ტრრ!.. ტიხონ ხარ?.. რავა ხარ, კაცო, გუნებაზე. ხომ კარგათ!.. თავბრუ გესხმის? ერთი ქური კეეერაი არ აგითავდა!... არა ძმაო, შენ ვერ ხარ მსმელი კაცაბი, თვარა ადესის მაჭარმა ასე რავა უნდა გაწყინოს კაცო?!. არაფერია!.. დღეს კიდევ ავაგოროთ და გაგივლის... რომელ საათზე?.. ასე 12-ის ნახევარზე. ფული არ გაქვთ?.. რათ გინდა შე კაცო. მიაკილტე მაი ალმასკომი და წამოიყვანე: დიმიტრე, დიომიდე და ლადიმეც თუ გინდა და შემოჰყევით აბგლიეს დუქანში... აბა, ჰა... გიცდით ოთხმიცდაათ ფუთიან ბოჭკასთან.., გადაეცი ვალოდიას, კოლიას, აფრასიონს, ყაისარს და ელიაზარს,—დაკეტონ დაწესებულებები და წამოვიდნენ... ხო, ხო. აბა შენ იცი.. რას მემშვიდობები კაცო!.. მალე მოდი, მალე!.. მე შალვა ვანაძეს თან წამოვიყვან მისი ნარდით...

### მოქმედება სამიკიტნოში

1 შალვა .(ღვინით სავსე ჭიქით ხელში): ბატონებო, რადგან დამავალეთ და თამადათ ამირჩიეთ, ბარალამ ისიც დამავალეთ და ღვინოს ჭიქაში ნუ მოიტიებთ..

ყველანი: აი, ვაშა, შალვა. ვაშა, ჩვენი ძმა ხარ, ჩვენი ძმა.

2 შალვა: ტყვილათ კი არ არის ჩემი სახელის მოზიარე და ჩემი კანდიდატი ტოლუმბაშათ.

ტიხონ: ბატონებო, ამ დიდ ქეიფს ერთი სიმღერაც დაშვენდება.

აფრასიონ (მღერის).

ტოლუმბაშო ჩანჩალაო,
ღვინო გვასვი ჩქარჩქარაო.
აფთიაქი გამოვკეტე,
ლხინი მინდა აქ ჩქარაო.

პროკოპი (ართმევს):
საშვალო, რომ დავამთავრე
ტოხნიკუმში გადვიარე,
თოხმა თავი მომაბეზრა,
სამიკიტნო შევიყვარე.

ბენო:
ვაი, ჩემო მამაჩემო,
შვილი გყევარ გგონიაო,
ის არ იცი, რომ დღეიდან
ბენიე რომ ლოთიაო.

ყაისარ:
სამკითხველო გამოვკეტე,
შევეჩვიე სამიკიტნოს,
გლეხები, რომ კართან მიცდის
მე კი აქ ვსვამ მაჭარ-ღვინოს.

ყველანი (სიმღერას ათავებენ): ვაშა, ვაშა ყაისარ!..

1 შალვა: ანგლია, მომიტანა ერთი ჩეთვერი ღვინო.

ანგლია: ამ საათში, ბატონო ჩემო!..

ვალოდია (ღვინის დანახვაზე): ოი, დედასა...

კოლია: ო, გენაცვა სულში, ღვინოვ ჩემო... რათ მინდა ფოსტა, აპარატი წერილი-მერილი, პასილკა-ნასილკა ზაკაზნოი-ნაკაზნოი, (სიმღერა, აურ-ზაური. თანდათან მატულობს).

აფრასიონ: ანგლია, შენ ფანჯარაში იყურე, „ვასმახი" „კვაჭი" ან სიკო არ წამოგვაწყდენ თავზე, თორემ „ტარტაროზ"-ში გაგვჭიმავენ ხელათ ის რაზბონიკები, ისა..

აფრასიონ (მღერის):
თავო ჩემო, ბიდი არ გიწერია...
მარო ჩემო, ეშხით არ გიყლერია...
ცოლო ჩემო, სულიც ამოგხდენია
და შენ მარო ჩემთან მოგირბენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა



— არ შეიძლება აქედან ვაგონში ჩაჯდომა!!!
— ორი საათია აქ ვდგევარ... ვაგონში ვერ ჩავჯექი... სამსახურში მიგვიანდება... სამსახური რომ დავკარგო, მერე პასუხს თქვენ აგებთ?

---

**2 შალვა:**
**ნარდო ჩემო, ძირიც გამოგძრომბია.**
**თავო ჩემო, ერთხელაც არ მოგიგია,—**
**ხალხის ფული მუდამ შიგ წაგიგია.**

**ანგლია** (შემორბის): თუ შეგიძლიათ, თავს უშველეთ: „ვასმახი" „კვაჭი" და „სიკო" აქეთ მოდიან... (წამოცვივიან. ზოგი თავს ძლივს იმაგრებს, ზოგს სძინავს, სხვები გარბიან. ტოლუმბაში შალვა კი სდგას მაგიდის თავშიზ და ტრაბახობს):

**1 შალვა:** მოვიდენ აბა ის ოხრები, თუ კარგი ბიჭებია... მე ვუჩვენებ მათ სეირს. მე ტოლუმბაში ვარ და ამ სუფრას არ მოვშორდები სიკვდილის დღემდე. (ასაქმებს) ხომ ხედავ, მიკიტანო, ყველა ავაგორე (გულზე ხელს ირტყამს) ბიჭი ვარ, ბიჭი!.. (მღერის „მრავალჟამიერს ვეძებდის ხმაზე").

**მრავალ ჟამიერს ვეძებდ**
**ვერ ვნახე, დაკარგულიყო,**
**ანგლიეს სამიკიტნოში**
**ბოჭკებში ჩამალულიყო,** (მიეძინება).

**ვასმახი.**

# ს ტ ა მ ბ ა შ ი

**(სახელგამის გამოცემები)**

— ჩაჩიკ! ეძახის ერთი ასოთამწყობი მეორეს: ჩაჩიკ, მოდი, თუ ძმა ხარ, გამაიცან აქ რა სწერია (ჩაჩიკა კითხულობს):

„ზანგს თმა თავზე ბორგვებად ამოუდის" რა უნდა იყოს ეს? კითხულობენ გაკვირვებულები. ასოები სწორედ არის გამოყვანილი, მაშასადამე ესა სწერია.

ამ დროს გამოჩნდება წიგნის ავტორიც.

— უკაცრავად, ეს რასა ნიშნავს ბატონო ავტორო? „ზანგს თმა თავზე ბორგვებად ამოუდის"?.

— ესა ნიშნავს, რომ ასეთი თმა აქვს ზანგს, როგორც შენ.

— ესე იგი: ხუჭუჭი?

— დიახ, ხუჭუჭი, ხუჭუჭი! ავტორი და უხერხულ მდგომარეობაშია, რადგანაც ვერ დაუწერია კარგი ქართულით, მაგრამ წიგნი მაინც შეუსწორებლად იბეჭდება.

— ზახარიჩ! აბა მოდი რა სწერია ეს, გამოიცანი! ეუბნება მეორე ასოთამწყობი ამხანაგს. ამხანაგი კითხულობს „ქათამს კვერცხი მოაქვს" ვა! ალბად ხონჩით მოაქვს აი! ალბად ავტორს უნდა სთქვას, ქათამი კვერცხსა სდებსო. აბა ესეც წაიკითხე, რა სწერია? ამხანაგი კითხულობს:

„დარაჯი რელსს ექიჩავება"—ეს კი, სწორე მოგახსენოთ, სულმთლად გაუგებარია. „ექაჩავება". ან ზედ გიმნასტიკასა თამაშობს რელსსზე დარაჯი, ან „კაჩაობს" ზედ, ან ზედ იქაჩავს თავს, მაგრამ მამაცხონებულს რაღა მაინცა და მაინც რელსი აურჩევია ამეებისათვის.

— შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, მოუცადოთ ავტორს.

რამდენიმე გამოცემა დაიბეჭდა, მაგრამ ავტორი, როგორც ძალიან დიდი კაცი, სტამბაში შევლას ჯერ არა კადრულობს.

**ფეშანგი ფაშბერტყვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესტვირული



### ხალიფაურისათვის

ტარტაროზ, მაგ შენ ფურცელზე.
მყავს ეხლა გასაწერია
ჭიათურისა მუშ-კოპის
გამგეობისა წევრია.
აბაშიძეა გვარადა,
დიმიტრი ქვია სახელი;
ხალიფაურში ემდურის
ახალგაზრდობას მას მთელი...
ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ სოფლად
ის მოჯირითდა ცხენითა
და იქ მყოფ ახალგაზრდობას
მოგვმართა ტკბილი ენითა:
„ჩვენ აქ ვაარსებთ, ბიჭებო,
კოოპერატიულ წრესაო
თანახმათ ცეკავშირისა...
მეტად საჩქაროდ გვწერსაო.
თქვენთვის ძალიან კარგია,
განვითარდებით წრეშიო.
მეცადინობა გექნებათ
ოთხ-ოთხჯერ ყოველ თვეშიო...
ამისთვის გვინდა საჩქაროდ,
რომ მოვიწვიო კრებაო.
თქვენ შეურჩიეთ ერთი დღე
როდისთვის შეიძლებაო...
აცნობეს ყველას: შაბათსო
გვაქვს მოწვეული კრებაო
სოფელსა ხალიფაურში...
ნერავინ დააკლდებაო...
და იქ ამოვა მუშკოპის
გამგეობისა წევრიო;
აქვს წრის დასაარსებელათ
სალაპარაკო ბევრიო.

---

შაბათს მოვიდა დიმიტრიც
და ხალხიც დახვდა ბევრია.
ახალგაზრდები წრეშიაც
მან ბევრი ჩაგვაწერია.
დაგვპირდა: გამოგიგზავნიო
კოოპერატიულ წიგნებსო.
ლექციაც ხშირად იქნება,
კარგია ვინც შეიგნებსო...

ეს იყო, მგონი, ზაფხულზე.
ხანი გავიდა დიდია...
მას შემდეგ აღარ გვინახავს...
სიტყვა ფეხებზე ჰკიდია.

ვაშაურელი.

### ვანისათვის

დაუკარი ჩემო სტვირო,
გენაცვალე კოხტა ყელში;
არ გაგიტყდეს ჩემზე გული,
დამაცადე ამ ორ დღეში,
ისე მოგრთავ და მოგკაზმავ,
ვით პატარძალს საქმროს გვერდ
დაგახურავ წითელ ქუდსა,
ჩაგხვევ წითელ სამოსელში
რატომ არის ჩვენი „ეპო
ვეღარ გაიმართა წელში,
ძველი ცოდვა რომ აღმოჩნდა,
ვის წაწვდება ნეტა ყელში?
ოთხი ათასი მანეთი.
ვინ გახვია ასე ბნელში,
რომ დღემდი ვერ შეამჩნიეს,
დღეს გამოაძვრინეს ხვრელში,
ვინ „ჩასანსლა“ ასე ტკბილათ,
უდარდელათ იგდო ყელში?
(სოფელი კი ასე სწყევლის:
გველეშაპი მის მუცელში).
ტარტაროზო, მინდა გითხრა,
სამწუხარო რამ ამბავი,
ვისმეს ავათ თუ გაუხდა,
ხარი, ძროხა და ან კრავი,
ვინ აჩვენებს იმას ექიმს,
გამძვრალი აქვს ხელათ ტყავი,
„ხუზარათი“ დაასივეს,
ხალხი ისეც განატყავი.

---

რას აკეთებს თემის საბჭო:
ესეცა მაქვს საკითხავი?
აღაც გზები, აღარც ხიდი,
არვინ არის გამკითხავი.
აფთიაქში აირია
საქმე რიგზე დაწყობილი
წამლათმზავი გვყავს ჩვენ ერთ
ბახუსის მონა მორჩილი
პეტრეს წამალს სიკოს აძლევს
და სიკო გულ დაწყვეტილი
სდგას კარებში საყვედურობს:
„აწი მაინც იყონ ფრთხილი..

ცვინტაძე.

---

# კახეთის მატარებელი



მგზავრი მე სადღა დავჯდე??? ყველა ადგილი ტიკებს დაუკავებიათ!



ეროვნული ბიბლიოთეკა




**ე. ციხისფერდელს.** (ლიხაური. გურია) ცოტა არ იყოს და, ჩვენ კარგად ვერ გავერკვიეთ თქვენს წერილში. არ ვიცით რომელ მხარეს ვუსაყვედუროთ. თქვენ გვწერ:

**სამკითხველო უქმე დღეს დაკეტილი იყო და ივანე ამიტომ გაბრაზდაო.**

და თუ მართლაც ასეა ჭეშმარიტად რომ გასაბრაზებელია. სოფლად მით უფრო კვირა-უქმე დღეს უნდა იყოს სამკითხველო ღია, რომ ადგილობრივ გლეხობას საშუალება ჰქონდეს ჟურნალ გაზეთების წაკითხვისა (თუ, რასაკვირველია ასეთი არის თქვენს სამკითხველოში, რაც იშვიათი მოვლენაა ყველგან).

ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ ივანე ამბობს:

**ახლანდელი ბალნები როგორ უნდა გამოსულიყავით ჭკუიანები, როცა ყველა არეულობაზე: ომის და რევოლიუციების დროს დაიბადეთ; ამიტომაც არის, რომ ერთი არ ვარგიხართო.**

ეს საკითხი ცოტა არ იყოს რთულია—ხოლო ერთი რამის თქმა კი შეიძლება: თქვენ რომ უვარგისი იყოთ, აქ ომი და რევოლიუცია დიდად არაფერ შუაშია.

ეს თქვენი პირველი ნაბიჯი ყოფილა... და გული არ გაიტეხოთ თუ პირველი ნაბიჯი პირდაპირ უფსკერო გოდორში გადაგიცდათ. (ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა). წერილი ცალ გვერდზე დასწერეთ.

**სულეიმან ბეზერგანის.** გერჩივნათ თქვენი **სიყვარული** კაკლის მურაბაზე შეგეჩერებინათ და შემდეგ აღარ გაგეგრძელებიათ ქალებზე.

**ეშმაკის ძმას.** იმედი ნუ გექნებათ; არ დაიბეჭდება.

**მელა-კუდას** (შორაპანი) გასულ ნომერში მოგეცით პასუხი. ალბად არ წაგიკითხავთ. თქვენი რეჟიმ-ეკონომია. გულდასმით წავიკითხეთ. საცოლო კაცს კარგად ჩაუტარებია რეჟიმ-ეკონომია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ იმ პიროვნებას (თქვენი წერილის გმირს) ჰბაძავთ ყველაფერში და მის მაგალითს მიჰყვებით. კარგია. მასეც მოიქეცით. ანდა რა საჭიროა... დროსაც უფრო მოიგებთ. (ალბად გამოცდილი ხართ) სიმართლე უნდა გითხრათ ძალიან გვაინტერესებს თქვენი ვინაობა. თუ შეგიძლიათ მოგვაწოდეთ თქვენი ფოტოგრაფიული სურათი.

**ლონგოს** პირველად გვესმის, რომ ვერის ხიდთან

**იდაყვდაყრდობით ყურს ვუგდებდი**
**ბაყაყთ ყიყინსა**
**და თვალნი ჩემნი დაპრაწულნი**
**ელოდენ ძილსა.**

ბაყაყების ყიყინის რა მოგახსენოთ და თქვენი წერილი უფსკერო გოდორში კარგად მოისვენებს.

**კირილე საფირჩხიელს.** როგორც თქვენი **„მეზობლის იასონეის ცოლმა რიფსიმემ დაუძახა ბატონო თქვენს ცოლს კესარიას ჭიშკრიდან, რომ ამ საღამოს კანცელიარიაზე ქალების კრებაა და უსიკვდილოთ წამოდიო,** ისევე დაუძახეს უფსკერო გოდრიდან შიგ მოთავსებულმა წერილებმა თქვენს იმერულ სცენას—აქეთ წამოდიო... თქვენმა წერილმა ყადრი ველარ გაუტეხა, ველარ გააწბილა თანამოძმენი და ამჯობინა უფსკერო გოდორში წასვლა. მართლადაც დიდი ამბით მიიღეს უფსკერო გოდორში: დიდხანს ისმოდა იქიდან: **„ყოჩაღ, ყოჩაღ კირილე საფირჩხიელო, ამხანეგობაც ამას ჰქვია“...**

ასე რომ ჩვენ საყვედური არ გვეკუთვნის თქვენი წერილის მოუთავსებლობის გამო, რადგან თვითონ მისი სურვილი იყო უფსკერო გოდორში წასვლა.

**ხოსოს** (ხიდის-თავი) არ არის გასაკვირი, რომ სამკითხველო **„ბახმარო“**-ში გამგე არავის უშვებს. ეს ალბად იმიტომ რომ—უფრთხილდება მკითხველი არ გაცივდეს. თუ საავგარაკო სეზონის დროს—ზაფხულზე გამგემ არ „შეუშვა“ ხალხი „ბახმარო“-ში, მაშინ მოვსთხოვთ ჩვენ პასოხს.

**რომ მკითხველი გარედან**
**მიადგება ფანჯარას,—**
**სამკითხველოს გამგისგან**
**ისმის;—არ შეიძლება...**

არც ასეთი ლექსის შეიძლება, მაგრამ მაინც სწერთ და, (ეს კიდევ არაფერი), „ტარტაროზში“ აგზავნით.

თუ თქვენი სამკითხველოს გამგე ასეთი საქციელისათვის გასაგზავნია ჯოჯოხეთის კუთხეში, მაშინ თქვენი წერილი გასაგზავნია უფსკერო გოდორში... და ჩვენც ასე მოვიქეცით.

ცხრა-წლედის შესახებ უკვე იყო ცნობა „ტარტაროზი“-ს გასულ ნომერში.

**ჩაქველ ხვლიკვს** (ალბათ ჩაქიში). თქვენ გვწერთ:

**ძლიერ დიდი ხნიდან მსურდა,**
**ტარტაროზ, შენი გაცმობა.**
**მაგრამ რა ვქნა... დალუპული**
**შემეჩვია ზარმაცობა.**

ძალიან ვსწუხვართ, რომ ზარმაცობა დაგიძლევიათ და ეს ლექსი მოგიწერიათ. ჩვენთვის სჯობს განაგრძოთ ზარმაცობა... იცოდეთ, რომ ტარტაროზს ასეთი წერილით ვერ გაეცნობით, ხოლო მის უფსკერო გოდორს კი. კეთილი იყოს თქვენს მიერ ჩვენი უფსკერო გოდრის გაცნობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩინი“



დედა (რომელიც ესტუმრა ტფილისში მილიციელ შვილს სადგურში დანახვისთანავე ალტაცებით ეუბნება): შვილო, გენაცვალე... პომპოლიკი გამხდარხარ შენი ჭირიმე... ღენერალ-ღუბერნატორის ქუდი გახურავს თავზე... ჯამაგირიც ხომ მოგიმატეს ჩინთან ერთად შენი ჭირიმე?

მილიციელი: ჰმ!.. ა... სხვა როგორ ხართ სახლში?..

ტფილისი. ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქუჩა № 68. ელსმენი № 11-38.